ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის
INITIATIVE FOR SOCIAL CHANGES (ISC)

პროექტის ზოგადი მიმოხილვა: ტრენინგი "ბავშვთა დაცვა ძალადობისგან" ხორცილდება, ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის" (ISC) მიერ, პროექტის „ადგილობრივი თემის შესაძლებლობების გაუმჯობესება ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობისთვის" ფარგლებში. თავის მხრივ, პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციასთან თამაშრომლობით, ევროკავშირისა და ავსტრიის განვთარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი სამკომპონენტიანია და მიზნად ისახავს:

- ბავშვიანი ოჯახებისათვის სათემო მხარდაჭერისა და სოციალური მომსახურებების მიწოდების არსებული პრაქტიკის შესწავლა/ანალიზი ლაგოდეხის თემის მაგალითზე;
- სათემო ქსელი ბავშვებისა და ოჯახების კეთილდღეობისათვის დაფუძნება და განვითარება, თემის დონეზე ბავშვთა დაცვისა და ოჯახის მხარდამჭერის მიმართულებით მუშაობის გასაძლიერებლად, აქცენტით სოციალურ მუშაობის გაძლიერებაზე თემში;
- პოზიტიური მშობლობისა და ბავშვის სოციალური კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგ პროგრამის შექმნა და ტრენინგების მიწოდება საპილოტე რეჟიმში;

ტრენინგის მიზანია გააუმჯობესოს ტრენინგის მონაწილეთა პროფესიული შესაძლებლობები, ბავშვთა დაცვის პროცესში მათი მონაწილოების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

ტრენინგის **სპეციფიური მიზნებია**:

- აამაღლოს მონაწილეთა მგრძნობელობა ბავშვთა დაცვის საკითხების მიმართ;
- გააცნოს მონაწილეებს ბავშვის განვითარების საჭიროებები და ბავშვთა უფლებები;
- მიაწოდოს მონაწილეებს ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის სახეებს, შედეგებსა და მიზეზებზე;
- გააუმჯობესოს მონაწილეებში ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევის იდენტიფიცირების უნარები;
- გააცნოს მონაწილეებს ბავშვთა დაცვის სახელმწიფო პოლიტიკა და რეფერირების (მიმართვიანობის) პროცედურები;
- აამაღლოს მონაწილეთა ცნობიერება მათი როლის შესახებ ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეგირების საქმეში.

ტრენინგის სამიზნე ჯგუფი: ლაგოდეხის რაიონის გამგებლის წარმომადგენლები/მათი სპეციალისტები და ამავე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენლი/ები.

ტრენინგს გაუძღვებიან: ნინო ნუცუბიძე, ბავშვის განვითარებისა და სოციალური მუშაობის მაგისტრი; თამარ ივანიაძე, სოციალური მუშაობის მაგისტრი და ბავშვთა დაცვის ტრენერი.

ხანგრძლივობა: ტრენინგის ხანგრძლივობაა 3 სამუშაო დღე. ერთი სატრენინგო დღე მოიცავს 6 საათს (თითოეული სესიის საშუალო ხანგრძლივობა 1,50 სთ). ტრენინგი ითვალისწინებს სესიებს შორის შესვენებებსა და წახემსებას.

მეთოდოლოგია: ტრენინგი აგებულია და წარიმართება ზრდასრულთა სწავლების პრინციპებზე დაყრდნობით. გამოყენებულია შემდეგი ინტერაქციული მეთოდები:

- მინი ლექცია/პრეზენტაცია;
- მცირე ჯგუფებში მუშაობა;
- გონებრივი იერიში;
- დისკუსია;
- შემთხვევის შესწავლა და სხვა.

ტრენინგის თემატიკა: აღნიშნული მიზნების მისაღწევად, ტრენინგის ფარგლებში დაფარულ იქნება შემდეგი ძირითადი თემები:

I დღე 16 მარტი (პარასკევი) 12:00 -18:00 საათი
➢ სესია 1: შესავალი სესია / ბავშვთა უფლებები და ბავშვთა დაცვა ➢ სესია 2: ბავშვის განვითარება / მიჯაჭვულობა (პირველი ნაწილი); ➢ სესია 3: ბავშვის განვითარება / მიჯაჭვულობა (მეორე ნაწილი).

II დღე 17 მარტი (შაბათი) 11:00- 17:00 საათი
➢ სესია 4: ბავშვთა მიმართ ძალადობის სახეები და ნიშნები, შედეგები; ➢ სესია 5: ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურები (სამართლებრივი ნაწილი); ➢ სესია 6: ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურები (პრაქტიკული ნაწილი).

III დღე 18 მარტი (კვირა) 11:00 -17:00 საათი
➢ სესია 7: ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურები (პრაქტიკული ნაწილი); ➢ სესია 8: ძალადობაგანცდილ ბავშვთან კომუნიკაციის ძირითადი ასპექტები; ➢ სესია 9: შემაჯამებელი სესია / ძალადობის პრევენცია თემის დონეზე;